

# შპს „ქუთაისის ქვის ქარხანა“


(ქუთაისი, ახალგაზრდობის გამზირი №19)

## ქვის დამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციის სკრინინგის განაცხადი

შემსრულებელი: შპს „სამნი+“

დირექტორი: თეიმურაზ კეკულაძე


ტელ.: 5 91 15 72 72



შპს „ქუთაისის ქვის ქარხანა“-ს

დირექტორი: ველიკი კეზევაძე

ტელ.: 5 99 22 97 33



ქუთაისი 2022

# შინაარსი

1. შესავალი .....	3
2. საწარმოს განთავსების ადგილის დახასიათება.....	4
3. ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის შესახებ.....	11
3.1. მუშაობის რეჟიმი და მწარმოებლურობა.....	11
3.2. ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა და ტექნოლოგიური პროცესი.....	11
3.3. საწარმოს ტექნოლოგიური პროცესის აღწერა .....	20
3.4. გამოყენებული ნედლეული და მიღებული პროდუქცია.....	21
3.5. წყალმომარაგება წყალარინება .....	22
4. გარემოზე შესაძლო ზემოქმედება საწარმოს ფუნქციონირების პროცესში.....	25
4.1. ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედება .....	26
4.2. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გამოყოფის რაოდენობის ანგარიში.....	27
4.3. ხმაურის ზემოქმედება.....	30
4.4. ზემოქმედება ლანდშაფტზე და ბიომრავალფეროვნებაზე .....	31
4.5. ზემოქმედება ზედაპირულ წყლებზე .....	32
4.6. ზემოქმედება ნიადაგსა და გრუნტის ხარისხზე.....	32
4.7. ნარჩენებით გარემოს დაბინძურების რისკები.....	33
4.8. ზემოქმედება სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე.....	36
4.9. ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე .....	38
4.10. სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება.....	38
4.11. ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე.....	38
4.12. ავარიული რისკები .....	39
4.13. კუმულაციური ზემოქმედება.....	39
4.14. ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება .....	42
5. საწარმოს ექსპლოატაციის პროცესში გარემოს კომპონენტებზე ზემოქმედების ტიპი, მასშტაბი და ხარისხი.....	42
დანართები .....	43
დანართი 1. ამონაწერები საჯარო რეესტრიდან. ....	44
დანართი 2. ამონაწერები სამეწარმეო რეესტრიდან.....	48
დანართი 3. მერიის წერილი.....	52
დანართი 4. ლიცენზიის ბრძანება .....	53

# 1. შესავალი

შპს „ნითე“-ს (ს/კ 412724850), ქ.ქუთაისში ახალგაზრდობის გამზირის N19, ყოფილი სატრაქტორო ქარხნის ტერიტორიაზე, მისსავე საკუთრებაში არსებულ არასასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთებზე (ნაკვ. 03.06.03.319/08.501 და ნაკვ. 03.06.03.457) (დანართი 1) დაწყებული აქვს ქვის (ტემენიტის) დამამუშავებელი საწარმოს მოწყობა ექსპლუატაცია.

სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავება შედის საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს II დანართის 5.1 პუნქტში და მეშვიდე მუხლის შესაბამისად ექვემდებარება სკრინინგის პროცედურას. რადგან საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაცია უკვე დაწყებულია, ობიექტი შემოწმებული იქნა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის, დასავლეთ ცენტრალური სამმართველოს მიერ და სკრინინგის გადაწყვეტილების გარეშე საქმიანობაზე კომპანიის მიმართ დაწყებული იქნა ადმინისტრაციული საქმის წარმოება.

მიმდინარე წლის 01 სექტემბერს შპს „ნითე“-მ შეიცვალა დასახელება, ამჟამად არის შპს „ქუთაისის ქვის ქარხანა“. კომპანიის სხვა საიდენტიფიკაციო მონაცემები დარჩა უცვლელი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით კომპანიის მიერ შემუშავებული იქნა სკრინინგის განცხადება, რომელიც სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარდგენილი იქნა გარემოს ეროვნულ სააგენტოში.

სააგენტოს 21/10/2022 N 21/6267 წერილით გამოგვეზავნა შენიშვნები ცალკეული ინფორმაციის დაზუსტების მიზნით, რომლის შესაბამისადაც მოხდა სკრინინგის ანგარიშის მომზადება.

ზოგადი ცნობები საქმიანობის განმხორციელების შესახებ მოცემულია ცხრილში 1.1.

ცხრილი 1.1. ზოგადი ცნობები საქმიანობის განმხორციელების შესახებ.

<b>ზოგადი ინფორმაცია საქმიანობის განმხორციელების შესახებ</b>	
ქარხნის ოპერატორი კომპანია	შპს „ქუთაისის ქვის ქარხანა“
საიდენტიფიკაციო კოდი	412724850
კომპანიის იურიდიული მისამართი	ქუთაისი, ახალგაზრდობის გამზ. N19
საქმიანობის განხორციელების მისამართი	ქუთაისი, ახალგაზრდობის გამზ. N19
დირექტორი	ველიკი კეზევაძე
საკონტაქტო ტელეფონი	599 229 733
საქმიანობის სახე	ქვის გადამამუშავებელი საწარმო
საპროექტო წარმადობა	6 000 მ <sup>3</sup> /წელ
სამუშაო საათები	12 სთ.დღ. 3000 სთ/წელ
საკონსულტაციო ფირმა	შპს „სამნი+“
პროექტის ხელმძღვანელი	თეიმურაზ კეპულაძე
საკონტაქტო ტელეფონი	5 91 15 72 72

## 2. საწარმოს განთავსების ადგილის დახასიათება.

შპს „ქუთაისის ქვის ქარხანა“-ს ქვის სახერხი საწარმო განთავსებულია ქუთაისში, ახალგაზრდობის 19-ში, ყოფილი ქუთაისის სატრაქტორო ქარხნის ტერიტორიაზე, კომპანიის საკუთრებაში არსებულ არასასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთებზე (ნაკვ. 03.06.03.319/08.501 და ნაკვ. 03.06.03.457). მიწის ნაკვეთების მდებარეობა მოცემულია ნახაზზე 2.1.

ნახაზი 2.1.



ქვის სახერხი საამქროს განთავსების ტერიტორიის წვეროთა ნუმერაცია და GPS კოორდინატები მოცემულია 2.2. ნახაზზე და 2.1. ცხრილში.



ნახაზი 2.2. წვეროთა ნუმერაცია

ცხრილი 2.1.

ნაკვეთის კოდი	წერტილის ნომერი	GPS კოორდინატები	
		X	Y
03.06.03.319.08.501	1	311583	4678445
	2	311589	4678512
	3	311437	4678526
	4	311432	4678473
03.06.03.457	5	311541	4678434
	6	311599	4678431
	7	311613	4678543
	8	311341	4678544
	9	311340	4678539
	10	311370	4678540
	11	311430	4678534
	12	311429	4678528
	2	311589	4678512
	13	311589	4678446
14	311583	4678447	

03.06.03.319.08.501 მიწის ნაკვეთზე განთავსებულია კაპიტალური შენობა, რომელშიც მოწყობილია საწარმოს ტექნოლოგიური უბნები, 03.06.03.457 მიწის ნაკვეთი გამოყენებულია საწარმომდე მისასვლელად.

განსახილველი მიწის ნაკვეთები მდებარეობს ქალაქის სამრეწველო ზონაში (დანართი 3. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის წერილი), ყოფილი სატრაქტორო ქარხნის ტერიტორიის ჩრდილოეთ მხარეს. სამხრეთით უშუალოდ ესაზღვრება ყოფილი სატრაქტორო ქარხნის შენობა-ნაგებობები. ჩრდილოეთით მდებარეობს თავისუფალი ტერიტორიები და ენერგო-პრო ჯორჯიას ქვესადგური, აღმოსავლეთით თავდაცვის სამინისტროს ტერიტორია, დასავლეთით ესაზღვრება კაპიტალური შენობა-ნაგებობები, ტერიტორიაზე შემოსასვლელი გრუნტის გზა, რომლის მეორე მხარეს განთავსებულია რიონჰესის სადერივაციო არხი, ახალგაზრდობის გამზირი, საცხოვრებელი სახლები, სპორტის სასახლე და უნივერსიტეტი.

უახლოესი დასახლებული პუნქტი, ახალგაზრდობის გამზირზე არსებული საცხოვრებელი სახლები, საწარმოო კორპუსიდან დაშორებულია 220 მ-ით. უახლოესი წყლის ობიექტი, დასავლეთით არსებული რიონჰესის სადერივაციო არხი 135 მ-ით. ხოლო აღმოსავლეთით 390 მ-ში მდებარეობს მდ. წყალწითელა.

უახლოესი საავტომობილო მისასვლელი გზა კომპანიის კუთვნილი მიწის ნაკვეთიდან დაშორებულია 10 მ-ით, ხოლო საწარმოო კორპუსიდან 92 მ-ით. ახალგაზრდობის გამზირი 03.06.03.457 მიწის ნაკვეთის საზღვრიდან დაშორებულია 100 მ-ით, ხოლო საწარმოო კორპუსიდან 195 მ-ით.


საწარმოს განთავსების სიტუაციური გეგმა მოცემულია 2.3. და 2.4. ნახაზებზე.





ნახაზი 2.3.





ნახაზი 2.4.



საწარმოს 500 მეტრიან ზონაში განთავსებულია ყოფილი სატრაქტორო ქარხნის ტერიტორიაზე არსებული ობიექტები, ენერგო-პრო ჯორჯიას ქვესადგური, თავდაცვის სამინისტროს ტერიტორია, სადერივაციო არხი, ახალგაზრდობის გამზირი, უნივერსიტეტი, სპორტის სასახლე. 500 მეტრიან რადიუსში არ ხვდება დაცული ტერიტორია და სატყეო ფონდის მიწა.

ობიექტის 500 მეტრიან რადიუსში არსებული ობიექტები მოცემულია ნახაზზე 2.5. ხოლო ყოფილი სატრაქტორო ქარხნის ტერიტორიაზე არსებული საწარმოო ობიექტები დატანილია ნახაზზე 2.6. ჩამონათვალი ცხრილში 2.2.



ნახაზი 2.5.



ნახაზი 2.6.

ცხრილი 2.2.

N	ობიექტის დასახელება	საკადასტრო კოდი	GPS კოორდინატები	
			X	Y
1	შპს „ქუთაისის ქვის ქარხანა“	03.06.03.319/08.501	311502	4678491
2	შპს „ქუთაისის ქვის ქარხანა“	03.06.03.457	311531	4678525
3	ლითონის საამქრო	03.06.03.319	311391	4678502
4	თავისუფალი ტერიტორიები	03.06.03.319	311438	4678395
5	მავთულბადის საამქრო	03.06.03.319	311383	4678202
6	შპს „რამი“-ს რეზინის ნაკეთობათა საწარმო	03.06.03.319.01.510	311347	4678208
7	შპს „ტრაქტორსერვისი“	03.06.03.319.504	311347	4678177
8	რკინის ნაკეთობათა საამქრო	03.06.03.319	311347	4678153
9	შპს „პოლიმერი“	03.06.319.01.500	311347	4678131
10	დევნილთა საცხოვრებელი	03.06.25.263	311309	4678056
11	ბეტონის ბოძების საამქრო	03.06.03.319	311417	4678168
12	ლითონის საამქრო	03.06.25.674	311374	4678059
13	ბეტონის ნაკეთობათა საამქრო	03.06.25.114	311435	4678053
14	ქვიშაპოლიმერულ ნაკეთობათა საწარმო	03.06.25.112	311486	4678043
15	დანგრეული შენობა	03.06.25.757	311151	4678215
16	ნ. ბარდაველიძის რკინის ნაკეთობათა საამქრო	03.06.25.138	311521	4678117

### **3. ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის შესახებ.**

შპს „ქუთაისის ქვის ქარხანა“-ს (იგივე შპს „ნითე“-ს) ახალგაზრდობის გამზირი N19-ში, ყოფილი სატრაქტორო ქარხნის მექანიკური საამქროს შენობაში მოწყობილი აქვს ქვის დამამუშავებელი საწარმო. მოწყობის სამუშაოები ჯერ დასრულებული არ არის, თუმცა ცალკეული დანადგარები უკვე ფუნქციონირებს.

საწარმოს ნედლეულს წარმოადგენს სხვადასხვა კონდიციის ქვის ლოდები, რომლებიც შესყიდული იქნება ლიცენზირებული კარიერებიდან.

ტექნოლოგიური დანადგარები და ყველა ტექნოლოგიური პროცესი განთავსებულია დახურულ კაპიტალურ შენობაში. შენობის გარეთ განთავსებულია ჩამდინარე წყლების მექანიკური გამწმენდი ნაგებობა.

#### **3.1. მუშაობის რეჟიმი და მწარმოებლურობა**

საწარმოს მუშაობის რეჟიმი იქნება ორცვლიანი, დღეში 12 საათი. 250 დღე წელიწადში. (3000 სთ/წელ).

დაგეგმილია წელიწადში 6000 მ<sup>3</sup> ნედლეულის (ქვის ლოდის) გადამამუშავება, რომლისგანაც მიიღება სხვადასხვა ნაკეთობა. წინასწარი გათვლებით საწარმო გამოუშვებს 1250 მ<sup>3</sup>- ფილას; 320 მ<sup>3</sup>- ბორდიურს; 530 მ<sup>3</sup>- ქვაფენილს; 500 მ<sup>3</sup>- სხვადასხვა დეტალს, 3000 მ<sup>3</sup>-არასტანდარტულ ქვის ნატებს და ღორღს.

საწარმოში დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენს 20 ადამიანს, მათგან 4 იქნება ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი. საწარმოო პროცესებში დასაქმებულთა რიცხვი შეადგენს 16 კაცს, მათგან ერთ ცვლაში იმუშავებს 8 ადამიანი.


#### **3.2. ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა და ტექნოლოგიური პროცესი**

საწარმოს ტექნოლოგიური პროცესები განთავსებული იქნება დახურულ შენობაში, რომლის საერთო ფართობი შეადგენს 4 635 კვ. მ. -ს.

შენობის შიდა სივრცე ერთიანია, იგი პირობითად დაყოფილი იქნება ნედლეულის მომარაგების, პროდუქციის დასაწყობებისა და ტექნოლოგიურ უბნებად. შენობის გარეთ განთავსებულია ჩამდინარე წყლების მექანიკური გამწმენდი (სალექარი) და მიწისქვეშა ჰორიზონტის ჭა.

საწარმოს ტექნოლოგიური უბნები დატანილია გენ-გეგმაზე, ნახაზი 3.1.






ნახაზი 3.1. გენ-გეგმა

ტექნოლოგიურ უბანზე განთავსებულია სხვადასხვა დიამეტრისა და დანიშნულების სახერხი და საპრიალებელი დაზგები, რომლებიც დატანილია ნახაზზე 3.2. ხოლო ექსპლიკაცია ცხრილში 3.1.

ცხრილი 3.1. ექსპლიკაცია

N	დანადგარის დასახელება	ფოტო	
1	ხერხი d=2500	N3.1	დამონტაჟებული
2	ხერხი d=1600	N3.2	დამონტაჟებული
3	ხერხი d=1600	N3.3	დამონტაჟებული
4	ხერხი d=600	--	მოწყობის პროცესშია
5	ხერხი d=1200	N3.4	დამონტაჟებული
6	ხერხი d=1200	N3.4	დამონტაჟებული
7	ხერხი d=1200	N3.4	დამონტაჟებული
8	ხერხი d=1200	N3.4	დამონტაჟებული
9	ხერხი d=800	--	დამონტაჟებული
10	საპრიალებელი დაზგა	N3.5	დამონტაჟებული
11	საპრიალებელი დაზგა	N3.5	დამონტაჟებული
12	ხერხის კბილების გადასაკრავი	--	მოწყობის პროცესშია
13	ხერხი d=400(გვერდების ჩამოჭრა)	N3.6	დამონტაჟებული
14	ხერხი d=400(თავეების ჩამოჭრა)	N3.7	დამონტაჟებული
15	თერმული დამუშავება ბუნერივი ან/და თხევადი აირით	--	არ არის დამონტაჟებული
16	ხერხი d=600	--	დამონტაჟებული
17	ქვაფენილის სატეხი	--	არ არის დამონტაჟებული
18	ქვის სამსხვრევ დამხარისხებელი	--	არ არის დამონტაჟებული
19	სალექარი	N3.8	მოწყობილია
20	წყლის ღარი	N3.9	მოწყობილია
21	ჭაბურღილი	N3.10	აღებულია წიაღითსარგებლობის ლიცენზია ბრძანება N6, 31/08/2022

Ենթաճիւ 3.2.







სურათი 3.1. 2 500 მმ-ანი ხერხი



სურათი 3.2. 1 600 მმ-ანი ხერხი



სურათი 3.3. 1 600 მმ-ანი ხერხი



სურათი 3.4. 1 200მმ-ანი ხერხები.



სურათი 3.5. საპრიალებელი დაზგები.



სურათი 3.6. გვერდების ჩამოსაჭრელი ჩარხი.





სურათი 3.7. თავების ჩამოსაჭრელი ჩარხი.



სურათი 3.8. სალექარი.



სურათი 3.9. წყლის არხი.



სურათი 3.10. ჭაბურღილი

### 3.3. საწარმოს ტექნოლოგიური პროცესის აღწერა

ქვის სახერხი საწარმო მთლიანად განთავსდება არსებულ კაპიტალურ შენობაში.

ნედლეული შემოიზიდება ავტოთვითმცლელებით და განთავსდება ნედლეულის სამარაგო უბანზე, საიდანაც ხიდურა ამწის საშუალებით მიეწოდება სახერხ დაზგებს. დაზგებზე თანმიმდევრობით მიმდინარეობს ქვის პირველადი ფორმირება ბლოკებად, ბლოკის დახერხვა ნახევარფაბრიკატად (ძელები ან-და ფილები), რომლებიც იჭრება საჭირო ზომებად, ფორმირდება და მუშავდება სხვადასხვა დაზგაზე, დანიშნულების შესაბამისად. ქვის ხერხვა გაპრიალება ხდება წყლის ჭავლის თანხლებით.

შემოზიდული ნედლეულის დაახლოებით 90% ფორმირდება ბლოკებად  $d=2\ 500$  მმ სახერხ დანადგარზე (N1). დარჩენილი 10%-ს დანაწევრება ხდება ორ 1 600 მმ დიამეტრის ხერხებზე (N2; N3). საჭიროების შემთხვევაში მათზევე ხდება 2 500 მმ ხერხზე ამოჭრილი ბლოკების დანაწევრებაც. ძირითადად საჭირო ზომის ფილებად ბლოკების დანაწევრება ხდება ოთხ 1 200 მმ-იან (N 5-8) და ერთ 800 მმ-იან (N9) ხერხზე.

600 მმ (N4) დიამეტრის ხერხზე ხდება პროფილების (ოვალი, ღარი და ა.შ.) მიღება. გვერდებისა და და თავების ჩამოჭრა ხდება 400 მმ-ან (N13 და N14) ორ ჩარხზე.

დახერხილი ქვების გაპრიალება ხდება ორ საპრიალებელ დაზგაზე (N10; N11). გაუპრიალებელი ფილების ზედაპირის დამუშავება ხდება ბუნბრივი ან/და თხევადი აირებით (N15).

ქვაფენილის მოსაწყობი ქვების მტვრევა ხდება სპეციალურ დაზგაზე (N17). ქვის ლოდის დაერხვა წინასწარ ხდება საჭირო ზომის ძელებად, რომლებიც მიეწოდება სამტვრევს. მასზე მექანიკური დარტყმით ჩამოტეხილი იქნება საჭირო ზომის ნატეხები.

საწარმოში ქვის პირველადი ხერხვისა ფორმირების პროცესში წარმოიქმნება ქვის არასტანდარტული ჩამონაჭრელები და ნატეხები, რომლისგანაც მზადდება სხვადასხვა ზომის ღორღი, მისი მსხვრევა-დახარისხებით.

არაგაბარიტული ქვების ნატეხების მსხვრევა-დახარისხებისათვის დამონტაჟდება ყბებიანი სამსხვრევი და სამგანყოფილებიანი მბრუნავი საცერი (N18). რომელშიც ქვების მიწოდება მოხდება მკვებავი ბუნკერიდან. დამსხვრეული ნატეხები ფრაქციებად დაიყრება მბრუნავი დოლის ქვეშ შესაბამისი ფრაქცისების ბაქნებზე, დოლის ცხავის ზომების შესაბამისად.

ქვის მსხვრევის ტექნოლოგიური პროცესი შემდეგია: საწარმოს სხვადასხვა უბანზე წარმოქმნილი ქვის ნატეხები ავტოდამტვირთველით ჩაიყრება სამსხვრევის მკვებავ ბუნკერში, საიდანაც მიეწოდება ცმდ 108 ყბებიან სამსხვრევს. დამსხვრეული ქვა ღარის საშუალებით ჩაიყრება მბრუნავ დოლისებურ საცერში. მბრუნავი დოლის დიამეტრი იქნება: დასაწყისში 1 მ. ბოლოში 0,8 მ. სიგრძე 6 მ. მბრუნავ დოლზე დასაწყისში მოწყობილი იქნება 5 მმ-იანი ცხაური(სიგრძით 1,5 მ), შუაში 10 მმ-იანი (სიგრძით 2 მ.), ბოლოში 20 მმ-იანი (სიგრძით 2,5 მ). ცხავის ღეჩოების ზომები შესაძლებელია შეიცვალოს პროდუქციაზე მოთხოვნილების

შესაბამისად. დოლი დახრილია ბოლოსაკენ. ბრუნვის პარალელურად დამსხვრეული მასალა გადაადგილდება დახრის მიმართულებით, ჩამოიყრება ცხურების ზომის შესაბამისად, დოლის ქვეშ მოწყობილ ხაროებში. მსხვილი ზომის ნატეხები დაიყრება დოლის ბოლოში. მიღებული პროდუქცია მოთხოვნების შესაბამისად განთავსდება ტომრებში ან ნაყარის სახით გაიტანება სააწროს ტერიტორიიდან.

საწარმოში გამოყენებული ხერხები შესაძლებელია დროთა განმავლობაში გაცვდეს. ხერხების კბილების გადაკვრა მოხდება სპეციალურ მანქანაზე (N12), რომელიც ჯერ არ არის დამონტაჟებული.

### 3.4. გამოყენებული ნედლეული და მიღებული პროდუქცია

საწარმოს ნედლეულს წარმოადგენს კარიერებზე მოპოვებული ქვა (სამშენებლო ნედლეული). ძირითადად დაგეგმილია ტემენიტის ქვის დამუშავება, თუმცა შესაძლებელია სხვადასხვა სამშენებლო ნედლეულის (კირქვა, ეკლარის ქვა, გრანიტი, ბაზალტი და სხვა) ქვის დამუშავება. ბიზნესგეგმით წლის განმავლობაში დაგეგმილია 6 000 მ<sup>3</sup> ქვის გადამუშავება.

ქვის გადასამუშავებლად საჭირო დამხმარე ნედლეულად გამოიყენება ტექნიკური წყალი. საწარმო ტექნიკური მიზნით გამოიყენებს ლიცენზიის საფუძველზე მოპოვებულ მიწისქვეშა ჰორიზონტის წყალს და ატმოსფერული ნალექების წყალს, რომლის შეკრებაც ხდება შენობის სარდაფში.

ქვის დამუშავების პროცესში გამოიყენება ენერგო რესურსები (ელ. ენერგია, ბუნებრივი და თხევადი აირი), რომელსაც საწარმო მიიღებს არსებული სადისტრიბუციო ქსელებიდან.

ტექნოლოგიური პროცესების შედეგად დაგეგმილია სხვადასხვა ზომის, ფორმისა და დანიშნულების ფილების წარმოება.

საწარმოს პროდუქციას წარმოედგენს ქვაფენილი, მოსაპირკეთებელი (გაპრიალებული) ფილა, ბორდიური, ღორღი, ქვის შლამი.

წინასწარი გათვლებით საწარმო გამოუშვებს 1 250 მ<sup>3</sup> ფილას; 320 მ<sup>3</sup> ბორდიურს; 530 მ<sup>3</sup> ქვაფენილს; 500 მ<sup>3</sup> სხვადასხვა დეტალს; 3 000 მ<sup>3</sup> ღორღს.

ჩამდინარე წყლის სალექარის ექსპლუატაციის შედეგად წარმოიქმნება შლამი (ქვის მცირე ზომის ნაწილაკები, ქვის ფხვნილი), რომელიც გამოიყენება სამშენებლო მასალების წარმოებაში, ბეტონის ხსნარზე დასამატებლად. შლამების გაუწყლოება მოხდება სალექარის მიმდებარედ, შლამის ბაქანზე. გაუწყლოების შემდეგ რეალიზდება სამშენებლო ბლოკის მწარმოებლებზე. წლის განმავლობაში შესაძლებელია 400 მ<sup>3</sup> ქვის ფხვნილის მიღება.

სხვა პროდუქციას საწარმო არ გამოუშვებს.



### 3.5. წყალმომარაგება წყალარინება

საწარმოს წყალი ესაჭიროება სასმელ-სამეურნეო და საწარმოო მიზნებისათვის.

სასმელ-სამეურნეოდ გამოყენებული იქნება გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის წყალსადენიდან მოწოდებული წყალი.

საყოფაცხოვრებო დანიშნულებით თანამშრომლები ისარგებლებენ იჯარით აღებული საყოფაცხოვრებო ადნიმისტრაციული სათავსოთი.

საწარმოს თანამშრომელთა საერთო რაოდენობა შეადგენს 20 კაცს, რომლებიც იმუშავენ 2 ცვლიანი რეჟიმით. სამეურნეო მიზნით საჭირო წყლის რაოდენობა იქნება  $20 \times 45 = 900$  ლ/დღ, რაც წელიწადში შეადგენს  $900 \times 250 \div 1000 = 225$  მ<sup>3</sup>/წელ.

სამეურნეო-საყოფაცხოვრებოს ჩამდინარე წყლების არინება მოხდება გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის კანალიზაციის ქსელით.

საწარმოს ტექნოლოგიური პროცესი ითვალისწინებს ქვის ხერხვა-გაპრიალებას წყლის ჭავლის თანხლებით, ამდენად წყალი საწარმოსათვის მნიშვნელოვანი ნედლეულია. ტექნიკური წყალაღება გათვალისწინებულია შენობის გარეთ, კომპანიის საკუთრებაში არსებული მიწისქვეშა ჰორიზონტის ჭიდან, რომელზედაც აღებულია წიაღისაარგებლობის ლიცენზია (დანართი N4).


ამჟამად ტექნიკური წყლის აღება ხდება არსებული შენობის ქვეშ არსებული სარდაფიდან, რომელიც სავარაუდოდ მოწყობილი იყო ყოფილი სატრაქტორო ქარხნის თავშესაფარად. სარდაფი ცარიელია, კედლები და იატაკი ბეტონისაა, მასში წყალი დგება ატმოსფერული ნალექების შედეგად. სარდაფში ჩაშვებულია წყალაღების მილი, წყლის ამოღება ხდება ტუმბოს საშუალებით.

გვალეების დროს სარდაფში წყალი შრება, ასეთ შემთხვევაში ტექნოლოგიური მიზნებისათვის გამოყენებული იქნება მიწისქვეშა ჰორიზონტის ჭა.


საწარმოს იატაკზე მოწყობილია წყალშემკრები არხები, რომლითაც იკრიბება ტექნოლოგიურ პროცესში გამოყენებული წყალი და მიეწოდება შენობის გარეთ, ჩრდილოეთ კედელთან განთავსებულ ჰორიზონტალურ სალექარს. გაწმენდის შემდეგ ტექნიკური წყალი კვლავ ბრუნდება ტექნოლოგიურ პროცესში.

სალექარი წარმოადგენს 4 განყოფილებიან ბეტონის ნაგებობას (ნახაზი 3.3.), რომლის საერთო მუცულობა 560 კუბ.მ-ია. მუშა მოცულობა 300 მ<sup>3</sup>-ს. საპროექტო წარმადობა 100 მ<sup>3</sup>/სთ, წმენდის ეფექტურობა 90-95%. სალექარის ბოლო განყოფილებაში დაყენებულია ბრუნვითი წყალმომარაგების ტუმბო, გაწმენდილი წყალი ისევ ბრუნდება ტექნოლოგიურ პროცესში (წყლის გამოყენების სქემა მოცემულია ნახაზზე 3.4.).

ნახაზი 3.3. სალექარის გეგმა



ნახაზი 3.4. წყლის გამოყენების სქემა



1 მ<sup>3</sup> ქვის დამუშავებას საბოლოო პროდუქციამდე სჭირდება 30 მ<sup>3</sup> ტექნიკური წყალი. საწარმოს მაქსიმალური წარმადობა შეადგენს 2 მ<sup>3</sup> ქვის ლოდის გადამუშავება საათში, რომელსაც დასჭირდება 60 მ<sup>3</sup>/სთ ტექნიკური წყალი. ყველა სახერხ დაზგას, რომელზედაც მიმდინარეობს ქვის სველი წესით ხერხვა მოწყობილი აქვს წყალშემკრები არხები, რომლებიც მიერთებულია საამქროს შიდა წყლის შემკრებ სისტემასთან. ტექნოლოგიური მოედნებიდან წყალი მიეწოდება ჩამდინარე წყლების სალექარს, რომლიდანაც გაწმენდილი ისევ ბრუნდება ტექნოლოგიურ პროცესში.

წყალაღება საჭიროა მხოლოდ წყლის ტექნოლოგიური დანაკარგის შესავდებად, რომელიც შეადგენს საჭირო წყლის 10 %-ს.

საპროექტო წარმადობის შესაბამისად საჭირო წყლის წლიური რაოდენობა შეადგენს  $6000 \times 30 = 180\,000$  მ<sup>3</sup>/წელ. ხოლო ბუნებრივი ობიექტიდან აღებული წყლის საჭირო რაოდენობა იქნება:  $180\,000 \times 10\% = 18\,000$  მ<sup>3</sup>/წელ.  $18\,000 \div 3\,000 = 6$  მ<sup>3</sup>/სთ. და  $6 \times 12 = 72$  მ<sup>3</sup>/დღ.

ამდენად ობიექტს მაქსიმალური წარმადობით ფუნქციონირების პირობებში, ბუნებრივი ობიექტიდან დასჭირდება 18 000 მ<sup>3</sup> წყლის აღება წელიწადში, 1 500 მ<sup>3</sup>/თვეში და 72 მ<sup>3</sup>/დღეში.

წყლის აღება დაგეგმილია სარდაფიდან, რომელშიც წყალი გროვდება ატმოსფერული ნალექების შედეგად. გვალვების პერიოდში (აგვისტო, სექტემბერი), წყლის დანაკარგის შევსება მოხდება მიწისქვეშა ჰორიზონტიდან.

ნავარაუდევია, რომ საჭირო წყლის მთლიანი რაოდენობიდან, 14 000 მ<sup>3</sup>-ის მიღება მოხდება ატმოსფერული ნალექების წყლის შეგროვების შედეგად, 4 000 მ<sup>3</sup>-ის მიწისქვეშა ჰორიზონტიდან.

თვეების მიხედვით წყალაღების მაჩვენებლები ათას მ<sup>3</sup>-ში მოცემულია ცხრილში:

თვე	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII
წყალაღების წყარო												
მიწისქვეშა ჰორიზონტი	0,2	-	-	0,2	0,5	0,5	0,6	1,0	0,8	0,2	-	-
ატმოსფერული ნალექების წყალი	1,3	1,5	1,5	1,3	1,0	1,0	0,9	0,5	0,7	1,3	1,5	1,5

საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ჩამდინარე წყლების ბუნებრივი წყლის ობიექტში ჩაშვება არ იგეგმება.

#### 4. გარემოზე შესაძლო ზემოქმედება საწარმოს ფუნქციონირების პროცესში

გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ზემოქმედება განხილულია შემდეგი მიმართულებებით: ატმოსფერული ჰაერის ხარისხობრივი მდგომარეობაზე ზემოქმედება; ხმაურის გავრცელება; ნიადაგის, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების მოსალოდნელი დაბინძურება; ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება; ნარჩენების მართვის პროცესში მოსალოდნელი ზემოქმედება და სხვა. რისკების შეფასების დროს გათვალისწინებული იქნა საპროექტო საწარმოს ტერიტორიის განთავსება, უახლოესი საცხოვრებელი სახლის მდებარეობა.



#### 4.1. ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედება

საწარმოს საქმიანობის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში გამოიყოფა: არაორგანული მტვერი, აზოტის დიოქსიდი და ნახშირჟანგი

ცხრილში 4.1. წარმოდგენილია მტვრის ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციის სიდიდეები.

ცხრილი 4.1.

კოდი	მავნე ნივთიერებათა დასახელება	ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციამგ/მ <sup>3</sup>		მავნე ნივთიერებათა საშიშროების კლასი
		მაქსიმალური ერთჯერადი	საშუალო-დღე-ღამური	
2908	მტვერი	0,5	0,15	3
0301	აზოტის დიოქსიდი	0,2	0,04	2
0337	ნახშირჟანგი	5,0	3,0	4

მავნე ნივთიერებების გამოყოფა ხდება საწარმოში განთავსებული ტექნოლოგიური წყაროებიდან, რომლებიც მოცემულია ცხრილში 4.2.

ცხრილი 4.2

ნომერი გენგეგმაზე	დასახელება	გამოყოფის წყაროს ნომერი
1	ხერხი d=2500	500
2	ხერხი d=1600	501
3	ხერხი d=1600	502
4	ხერხი d=600	503
5	ხერხი d=1200	504
6	ხერხი d=1200	505
7	ხერხი d=1200	506
8	ხერხი d=1200	507
9	ხერხი d=800	508
10	საპრიალებელი დაზგა	509
11	საპრიალებელი დაზგა	510
13	ხერხი d=400	511
14	ხერხი d=400	512
15	თერმული დამუშავება	513
16	ხერხი d=600	514
18	ქვის სამსხვრევდამხარისხებელი	515

წარმოქმნილი მავნე ნივთიერებების გაფრქვევა ხდება არაორგანიზებულად ღიობებიდან და ფანჯრებიდან.

## 4.2. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გამოყოფის რაოდენობის ანგარიში

საწარმოს მიერ ატმოსფეროში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობის ანგარიში მოხდა „დაბინძურების სტაციონალური წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის განსაზღვრის ინსტრუმენტული მეთოდის, დაბინძურების სტაციონალური წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის დამდგენი სპეციალური გამზომ-საკონტროლო და აპარატურის სტანდარტული ჩამონათვალისა და დაბინძურების სტაციონალური წყაროებიდან ტექნოლოგიური პროცესების მიხედვით ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის საანგარიშო მეთოდის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის (საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის დადგენილება #435) მიხედვით.“ აღნიშნული დოკუმენტის 93-ე დანართის თანახმად ქვის მშრალი მეთოდით დამუშავებისას წარმოქმნილი მტვრის წამური და წლიური რაოდენობა იანგარიშება ფორმულებით:

$$M_{\text{წამური}} = 0,108 \times 10^{-4} \times b \times v \times H \times m \text{ გ/წმ}$$

$$M_{\text{წლიური}} = 0,648 \times 10^{-6} \times b \times L \times H \times m \text{ ტ/წელ}$$

სადაც  $b$  - განახერხის სიგანე, მმ;

$v$  - მიწოდების სიჩქარე, მმ/წთ;

$H$  - დასამუშავებელი მასალის სისქე, მმ;

$L$  - წელიწადში განახერხების ჯამური სიგრძე, მ/წელი;

$m$  - დასამუშავებელი მასალის სიმკვრივე, გ/სმ<sup>3</sup>.

ქვის სველი მეთოდით დამუშავებისას ზემოაღნიშნულ ფორმულებში გათვალისწინებულ უნდა იქნას გაფრქვევის შემასწორებელი კოეფიციენტი, რომელიც ტოლია 0,01-ის.

მტვრის გაფრქვევის გაანგარიშება წარმოებს თითოეული ხერხისათვის. შედეგები მოცემულია ცხრილში 4.3.

ცხრილი 4.3.

გამოყოფის წყაროს ნომერი	წამური ინტენსიობა; გ/წმ							წლიური ინტენსიობა; ტ/წელ						
	0.108 x10 <sup>-4</sup>	b	v	H	m	k	M	0,648 x10 <sup>-6</sup>	b	L	H	m	k	G
500		10	30	1100	2,8	0,01	0,099		10	15000	1100	2,8	0,01	2,9925
501		10	30	620	2,8	0,01	0,0558		10	20000	620	2,8	0,01	3,348
502		10	30	620	2,8	0,01	0,0558		10	20000	620	2,8	0,01	3,348
503		10	30	250	2,8	0,01	0,0225		10	1000	250	2,8	0,01	0,045
504		10	30	430	2,8	0,01	0,0387		10	10000	430	2,8	0,01	0,774
505		10	30	430	2,8	0,01	0,0387		10	10000	430	2,8	0,01	0,774
506		10	30	430	2,8	0,01	0,0387		10	10000	430	2,8	0,01	0,774
507		10	30	430	2,8	0,01	0,0387		10	10000	430	2,8	0,01	0,774
508		10	30	300	2,8	0,01	0,027		10	1000	300	2,8	0,01	0,054
511		10	30	100	2,8	0,01	0,009		10	10000	100	2,8	0,01	0,18
512		10	30	100	2,8	0,01	0,009		10	10000	100	2,8	0,01	0,18
514		10	30	250	2,8	0,01	0,0225		10	2000	250	2,8	0,01	0,09

ფილების გაპრიალებისას გამოყოფილი მტვრის რაოდენობა (გამოყოფის N509 და N510 წყაროები) იანგარიშება შემდეგი პირობებით:

ერთ საპრიალებელ დანადგარზე წელიწადში განხორციელდება 2 000 მ<sup>2</sup> ფილის გაპრიალება, რა დროსაც გამოყოფილი მტვრის რაოდენობა იქნება

$$G=0,001 \times 2000 \times 2,8 \times 0,01=0,056 \text{ ტ/წელ}$$

მტვრის წამური ინტენსიობა იქნება

$$M=G \times 10^6 / 250 \times 12 \times 3600 = 0,056 \times 10^6 / 250 \times 12 \times 3600 = 0,0052 \text{ გ/წმ}$$

ანალოგიური იქნება N510 გამოყოფის წყაროსთვისაც.

თერმული დამუშავებისათვის გამოიყენება წელიწადში 10 000მ<sup>3</sup> ბუნებრივი აირი.

1 000 მ<sup>3</sup> ბუნებრივი აირის წვისას გამოიყოფა 0,0036 ტ აზოტის დიოქსიდი, 0,0089 ტ ნახშირჟანგი და 2 ტ ნახშირორჟანგი [4], ამიტომ მათი წლიური გაფრქვევები ტოლი იქნება:

$$G_{\text{NO}_2} = 0,0036 \times 10 = 0,036 \text{ ტ/წ}$$

$$G_{\text{CO}} = 0,0089 \times 10 = 0,089 \text{ ტ/წ}$$

$$G_{\text{CO}_2} = 2 \times 10 = 20 \text{ ტ/წ}$$

შესაბამისად წამური გაფრქვევები იქნება:

$$M_{\text{NO}_2} = 0,036 \times 10^6 / 2000 \times 3600 = 0,005 \text{ გ/წმ}$$

$$M_{\text{CO}} = 0,089 \times 10^6 / 2000 \times 3600 = 0,0124 \text{ გ/წმ}$$

ქვის სამსხვრევ-დამხარისხებელი დანადგარის მუშაობისას მტვრის გამოყოფის წყაროს წარმოადგენს ყბებიანი მსხვრევანა (გამოყოფის N515 წყარო);

ნორმატიული დოკუმენტაციის თანახმად მტვრის ხვედრითი გამოყოფის კოეფიციენტი პირველადი მშრალი მსხვრევისას შეადგენს 0,14კგ/ტ.

წელიწადში ნავარაუდები 6 000ტ ქვის მსხვრევის გათვალისწინებით, მტვრის წლიური და წამური ინტენსიობა იქნება:

$$G=6000 \times 0,14 / 1000 = 0,84 \text{ ტ/წელ.}$$

$$M=0,84 \times 10^6 / 2000 \times 3600 = 0,1167 \text{ გ/წმ.}$$

ანგარიშის მიხედვით, გამოყოფილი მავნე ნივთიერებების წამური ინტენსიობა შეადგენს:

- ორგანული მტვრის -- 0,5825 გ/წმ;
- აზოტის დიოქსიდის -- 0,005 გ/წმ;
- ნახშირჟანგის -- 0,0124 გ/წმ.



აზოტის დიოქსიდისა და ნახშირჟანგის კონცენტრაციები იმდენად უმნიშვნელოა, რომ მათი გარემოზე გავლენა შეიძლება უგულვებელყოფილი იყოს.

რაც შეეხება ორგანული მტვრის გამოოფას, მისი ჯამური რაოდენობა შეადგენს 0,5825გ/წმ. როგორც ტექნოლოგიურ ნაწილშია აღნიშნული, ხერხვის პროცესი სველია, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს გაფრქვევის ინტენსიობას. ამის გარდა 117-ე დანართის მიხედვით, როდესაც ტექნოლოგიური პროცესები ხორციელდება ისეთ შენობებში, რომლებიც არ არის აღჭურვილი საერთოცვლითი ვენტილაციით (გაფრქვევები ხდება ფანჯრებისა და კარების ღიობიდან) და რომლებშიც მავნე ნივთიერებათა გამოყოფის წყაროებს არ გააჩნიათ ადგილობრივი გაწოვის სისტემები მყარი ნაწილაკების გაფრქვევების გაანგარიშებისას რეკომენდირებულია გამოყენებული იქნას შემასწორებელი მტვრის დალექვის მახასიათებელი კოეფიციენტი, რომელიც ორგანული მტვრისათვის 0,4-ს ტოლია. აღნიშნულის გათვალისწინებით მტვრის გაფრქვევის ინტენსიობა იქნება

$$M=0,5825 \times 0,4=0,233 \text{ გ/წმ}$$

პრაქტიკა აჩვენებს, რომ აღნიშნული რაოდენობა იმდენად მცირეა (საათში 0,84კგ), რომ ვერ მოახდენს რაიმე გავლენას გარემოზე.

გარდა აღნიშნულისა, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 17 იანვრის N17 დადგენილებით ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის N42 დადგენილებაში შეტანილი ცვლილების თანახმად (4.1 მუხლის „ი“ ქვეპუნქტი ), ობიექტები, რომლებშიც ქვის დამუშავება ხორციელდება სველი მთოდით, არ ექვემდებარება ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიშის შემუშავებას.

### 4.3. ხმაურის ზემოქმედება

საწარმოს მუშაობისას მოსალოდნელია ხმაურის წარმოქმნა და გავრცელება, რამაც შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს გარემოზე და ადამიანებზე.

საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის წყაროს წარმოადგენენ ტექნოლოგიურ პროცესში ჩართული დანადგარ-მექანიზმები (სახრხი დაზგები, სამსხვრევ-დანხარისხებელი). ლიტერატურული წყაროების მიხედვით სამსხვრევ-დანხარისხებელი დანადგარის მუშაობისას ხმაურის მაქსიმალური დონე აღწევს 95 დბა-ს. უახლოესი საცხოვრებელი სახლი საპროექტო ობიექტის საზღვრიდან დაშორებულია 220 მ-ით. საწარმოს მუშაობა გათვალისწინებულია დღის საათებში. დღის პერიოდისათვის საცხოვრებელ სახლთან ხმაურის აკუსტიკური ნორმები საქართველოს მთავრობის N398 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის დანართი 1-ს მიხედვით შეადგენს 50 დბა-ს.

240 მ-ით დაცილებულ საანგარიშო წერტილში ბგერითი წნევის ოქტავური დონეები გამოითვლება ფორმულით:

$$L = L_p - 15lgr + 10l\lg \Phi - \beta r/1000 - 10l\lg \Omega, \text{ დბა}$$

სადაც,

$L_p$  – ხმაურის წყაროს სიმძლავრის ოქტავური დონე; გამოყენებული მანქანა დანადგარების სიმძლავრეთა გათვალისწინებით იგი ტოლია 95 დბა.

$\Phi$  – ხმაურის წყაროს მიმართულების ფაქტორი, უგანზომილებო, განისაზღვრება ცდის საშუალებით და იცვლება 1-დან 8-მდე ბგერის გამოსხივების სივრცით კუთხესთან დამოკიდებულებით);

$r$  – მანძილი ხმაურის წყაროდან საანგარიშო წერტილამდე; 220 მ.

$\Omega$  – ბგერის გამოსხივების სივრცითი კუთხე, რომელიც მიიღება:  $\Omega = 4\pi$ -სივრცეში განთავსებისას;  $\Omega = 2\pi$  - ტერიტორიის ზედაპირზე განთავსებისას;  $\Omega = \pi$  - ორ წიბოიან კუთხეში;  $\Omega = \pi/2$  – სამ წიბოიან კუთხეში;

$\beta$  – ატმოსფეროში ბგერის მილევადობა (დბ/კმ) ცხრილური მახასიათებელი.

შესაბამისი მნიშვნელობების ჩასმით საცხოვრებელ სახლთან ხმაურის დონე იქნება:

$$L=95- 15l\lg 220+10 l\lg 1-10,5 \times 220/1000-10 l\lg 12,56 =46,56 \text{ დბა}$$

გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ საწარმოს ყველა ტექნოლოგიური დანადგარი განთავსებულია კაპიტალურ შენობაში, რომლის კედლის სისქე 20 სმ-ია. ასეთი შენობების ბგერათსაიზოლაციო ეფექტი 25-30 დბა-ს შეადგენს (Борьба с шумом на производстве. Справочник. Е.Юдин. М.1985. გვერდი 173; 224). გარდა ამისა განსახილველ შენობას დასახლებული პუნქტის მიმართულებით ესაზღვრება ასევე კაპიტალური, 0,4 მ. სისქის ბეტონის კედლიანი შენობა, რომელიც დამატებით ასრულებს ბგერის შთანთქმის ფუნქციას.

ზემოთქმულის გათვალისწინებით შეიძლება დავასკვნათ, რომ საცხოვრებელ სახლთან განსახილველი საწარმოს გავლენით მოსალოდნელი ხმაური ვერ მიაღწევს.

ობიექტის ექსპლუატაციით დასახლებულ პუნქტზე ხმაურის ზემოქმედება იქნება დაბალი.

#### 4.4. ზემოქმედება ლანდშაფტზე და ბიომრავალფეროვნებაზე

საწარმოს მოწყობა განხორციელდა ყოფილი ქუთაისის სატრაქტორი ქარხნის მექანიკური სამკროს შენობაში, წლების წინ სამეწარმეოდ ათვისებულ ტერიტორიაზე. სადაც ლანდშაფტი წლების წინ სახემეცვლილი და დეგრადირებულია. ამდენად შენობის შიგნით საწარმოს მოწყობა ლანდშაფტზე დამატებით გავლენას ვერ მოახდენს.

საწარმოს ტერიტორია განთავსებულია ქალაქის ტერიტორიაზე, სამრეწველო ზონაში, ყველა ტექნოლოგიური დანადგარის განთავსება მოხდა შენობის შიგნით, შესაბამისად მცენარეთა

საწარმოზე ან/და ცხოველთა სამყაროზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. საწარმოს მიმდებარედ მოსალოდნელია მხოლოდ სინანტროპული სახეობების არსებობა.

რაც შეეხება ორნითოფაუნას, მიმდებარედ გავრცელებული სახეობები (ძირითადად ბელურასნაირები), შეგუებული არიან ანთროპოგენურ გარემოში ბინადრობას და მათზე დამატებითი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

#### **4.5. ზემოქმედება ზედაპირულ წყლებზე**

საწარმოში წყალი საჭიროა სასმელ-სამეურნეო და საწარმოო მიზნებისათვის, სასმელი წყლის აღება მოხდება ქალაქის წყალსადენის ქსელიდან.

საწარმოო მიზნით წყალაღება გათვალისწინებულია წვიმის წყლების შეგრობით და მიწისქვეშა ჰორიზონტის ჭიდან.

ჭა განთავსებულია საწარმოს ეზოში, შემდეგ კოორდინატზე X – 311526, Y – 4678518. საწარმოო მიზნით მიწისქვეშა ჰორიზონტიდან აღებული წყლის მოცულობა იქნება 4 000 მ<sup>3</sup>/წელ. აღნიშნული წყალაღების მაჩვენებელი მნიშვნელოვან გავლენას ვერ იქონიებს მიწისქვეშა ჰორიზონტზე. წყალსარგებლობა განხორციელდება სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული ლიცენზიის საფუძველზე, სალიცენზიო პირობების დაცვით.

საწარმო წვიმის წყლების შეგროვების შედეგად გამოიყენებს 14 000 მ<sup>3</sup>-წყალს წელიწადში.

საწარმოში მოწყობილია წყლის გამოყენების ბრუნვითი სისტემა. საწარმოო პროცესებიდან ჩამდინარე წყლები არ წარმოიქმნება. სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების არინება მოხდება ქალაქის კანალიზაციის ქსელში. ამდენად ჩამდინარე წყლებით ზედაპირული წყლის ობიექტის დაბინძურება მოსალოდნელი არ არის.

ამდენად, საწარმოს წყალსარგებლობის მაჩვენებლებისა და შემარბილებელი ღონისძიებების გათვალისწინებით, ზედაპირული წყლის რესურსებზე ზემოქმედება შეიძლება შეფასდეს როგორც ძალიან დაბალი.

#### **4.6. ზემოქმედება ნიადაგსა და გრუნტის ხარისხზე**

საწარმოს მოწყობა განხორციელდა ყოფილი ქუთაისის სატრაქტორო ქარხნის ტერიტორიაზე, არსებულ კაპიტალურ შენობაში. მის მოსაწყობად საჭირო არ იყო სამშენებლო და მიწის საექსკავაციო სამუშაოები. განსახილველ ტერიტორიაზე შენარჩუნებული არ არის მიწის ნაყოფიერი ფენა. შენობის გარე ტერიტორია დაფარულია ღორღის ფენით. ყველა ტექნოლოგიური პროცესი განთავსებულია შენობის შიგნით, ამდენად ნიადაგზე და გრუნტის ხარისხზე პირდაპირი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

გრუნტის დაბინძურება მოსალოდნელია ნარჩენების არასათანადო მართვისა და ტრანსპორტიდან გარე ტერიტორიაზე ნავთობპროდუქტების დაღვრის შედეგად. ნარჩენების სწორი მართვისა და უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვის პირობებში გრუნტის დაბინძურების რისკი ძალიან დაბალია.

ამდენად საწარმოს ექსპლუატაციით ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე და გრუნტის ხარისხზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

#### **4.7. ნარჩენებით გარემოს დაბინძურების რისკები**

საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში მოსალოდნელია სხვადასხვა კატეგორიის ნარჩენების წარმოქმნა. რადგან საწარმოს განთავსება მოხდა არსებულ შენობაში, სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნა არ მომხდარა.

ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელია საყოფაცხოვრებო და საწარმოო ნარჩენების წარმოქმნა.

საყოფაცხოვრებო ნარჩენები შეგროვდება სპეციალურ კონტეინერში, ხელშეკრულების საფუძველზე გატანილი იქნება იქნება ქუთაისის მუნიციპალური სამსახურის მიერ და განთავსდება მუნიციპალური ნარჩენების ნაგავსაყრელზე.

ტექნოლოგიური პროცესების შედეგად ნარჩენების წარმოქმნა არ ხდება, ნარჩენები წარმოიქმნება მანქანა-დანადგარების ექსპლუატაციისა და მიმდინარე შეკეთების შედეგად.

საწარმოს მოწყობილობების მიმდინარე შეკეთების დროს შესაძლებელია წარმოიქმნას ლითონის ჯართი ან ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული საწმენდი ნაჭრები და სხვა.

საწარმოში წარმოქმნილი ყველა ნარჩენის მართვა განხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მოხდება წარმოქმნილი და მოსალოდნელი ნარჩენების ინვენტარიზაცია, ნარჩენები შეგროვდება სახეობისა და მახასიათებლების შესაბამისად ცალ-ცალკე. სახიფათო ნარჩენებისათვის გამოყოფილი იქნება სათავსო, მისი შეგროვება მოხდება კონტეინერული სისტემით, გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე ორგანიზაციებს. რკინის ჯართი შეგროვდება მისთვის გამოყოფილ ბაქანზე და ჩაბარდება სათანადო ნებართვის (ან რეგისტრაციის) მქონე ორგანიზაციებს.

საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი ნარჩენების სახეობები, მათი რაოდენობები და ინფორმაცია შემდგომი მართვის შესახებ მოცემულია ცხრილში 4.4.



ცხრილი 4.4.

N	ნარჩნის კოდი	ნარჩენის დასახელება	სახიფათო (დიახ/არა)	სახიფათოობის მახასიათებელი	განთავსების/ აღდგნის ოპერაციები	სავარაუდო რაოდენობა წელიწარში	შემდგომი მართვა
1	15 02 02*	<p>აბსორბენტები, ფილტრის მასალები (ზეთის ფილტრის ჩათვლით, რომელიც არ არის განხილული სხვა კატეგორიაში), საწმენდი ნაჭრები და დამცავი ტანსაცმელი, რომელიც დაბინძურებულია საშიში ქიმიური ნივთიერებებით</p>	დიახ	H15	D10	20 კგ	<p>შეგროვდება სპეციალურად გამოყოფილ ადგილას. ტრანსპორტირებისთვის გადაეცემა შპს „ეკო სერვის ჯორჯიას“ ს/კ: 405123566; ნარჩენების შემგროვებელ ორგანიზაციად რეგისტრაციის ნომერი: 3286901274. ხოლო საბოლოო დამუშავების მიზნით შპს „მედიკალ ტექნოლოგს“ ს/კ: 404384590; ნებართვა: “ბრძანება N-1037” 30.12.2015</p>
2	13 02 06*	<p>ძრავისა და კბილანური გადაცემის კოლოფის სინთეტიკური ზეთები და სხვა ზეთოვანი ლუბრიკანტები</p>	დიახ	H3-H5	R13	40 კგ	<p>შეგროვდება სპეციალურად გამოყოფულ ჰერმეტიკულ კასრში. კონტრაქტის საფუძველზე ტრანსპორტირებისთვის გადაეცემა შპს „ეკო სერვის ჯორჯიას“ ს/კ: 405123566; ნარჩენების შემგროვებელ ორგანიზაციად რეგისტრაციის ნომერი: 3286901274, ზეთები ტრანსპორტირებული იქნება შპს „ალტერვეისტი“ 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის (ნარჩენი ზეთები) დროებითი შენახვის ობიექტზე.</p>

3	16 01 17	შავი ლითონი	არა	-	R4	1000 კგ	ჩაბარდება ჯართის მიმღებ პუნქტებს
4	20 03 01	შერეული მუნიციპალური ნარჩენები	არა	-	D1	2,5 ტ.	გაიტანება ქუთაისის ა(ა)იპ სპეციალური სერვისების მიერ და განთავსდება მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე

#### 4.8. ზემოქმედება სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე

საწარმოში ნედლეულის შემოტანა და პროდუქციის გატანა ხორციელდება მაღალი ტვირთამწეობის ავტოტრანსპორტით.

საწარმოში დასამუშავებლად შემოიტანება 6 000-მ<sup>3</sup> ქვის ლოდი. შემოტანა ხორციელდება 8-10მ<sup>3</sup> ტევადობის ავტოტრანსპორტით. წლის განმავლობაში ნედლეულის შემოსაზიდად მოსალოდნელი გადაზიდვების რაოდენობა შეადგენს 700 - რეისს წელიწადში. დღეში ნედლეულის შემოსაზიდად საჭირო იქნება 3-მდე გადაზიდვა.

პროდუქციის გატანას წელიწადში დასჭირდება 800 გადაზიდვა. სულ სატრანსპორტო გადაზიდვების ინტენსივობა იქნება  $((800 + 700) \div 250) = 6$  რეისი დღეში.

საწარმოს მაქსიმალური წარმადობით ექსპლუატაციის პირობებისათვის გადაზიდვების რაოდენობა და ინტენსივობა მოცემულია ცხრილში 4.5.

ცხრილი 4.5.

გადაზიდვები	გადაზიდვების ინტენსივობა			
	წელიწადში	თვეში	დღეში	საათში
ნედლეული	700	58	3-მდე (2,8)	1-მდე
პროდუქცია	800	67	4-მდე (3,2)	1-მდე
სულ	1500	125	6	1-მდე

საწარმომდე და საწარმოდან ცენტრალურ გზამდე გადაზიდვები იწარმოებს შიდა (ასფალტისსაფარიანი) გზით, რომელიც უერთდება თბილისი-სენაკი ლესელიძის საავტომობილო გზას. ტვირთების ტრანსპორტირება მოხდება თბილისი-სენაკი-ლესელიძის, ქუთაისი-ბაღდათი-ბენაროს საავტომობილო გზებით და ახალგაზრდობის გამზირით.

ყველა ზემოაღნიშნულ გზაზე სატრანსპორტო ნაკადები ინტენსიურია და საათში 1-მდე მოძრაობის ინტენსივობა ვერ მოახდენს მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას.

საწარმოს სატრანსპორტო მარშრუტების სქემა მოცემულია ნახაზზე 4.1.



ნახაზი 4.1.

#### **4.9. ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე**

საპროექტო საწარმოს განთავსების ადგილიდან 1 კმ-ის რადიუსში დაცული ტერიტორია და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი არ არის განთავსებული. აქედან გამომდინარე მათზე რაიმე ნეგატიური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

#### **4.10. სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება**

საწარმო ფუნქციონირებით მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს სოციალური პირობების გაუმჯობესებაში. ნებისმიერი ახალი საწარმო ობიექტის მოწყობა ასტიმულირებს სხვა კომპანიის მუშაობას, რაც გამოიხატება ნედლეულისა და საჭირო მასალების შეძენით, სხვადასხვა მომსახურების შესყიდვით.

საწარმოში და მის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ დასაქმებულთა რიცხვი შეადგენს 20 კაცს, რაც ქვეყანაში არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით დადებითად იმოქმედებს ადამიანების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე.

საქმიანობის დაგეგმვა ხელს შეუწყობს სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას, რადგან საწარმოს პროდუქცია (ფილა, ქვაფენილი, ბორდიური, ღორღი) განკუთვნილია დასახლებული პუნქტების გზებისა და ტროტუარების მოსაპირკეთებლად.

შპს ქვეყანაში არსებული საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად სახელმწიფო ბიუჯეტში გადაიხდის მასზე დაკისრებულ გადასახადებს, რაც დადებითად აისახება ადგილობრივ ბიუჯეტზე.

#### **4.11. ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე**

საწარმო შედის საქართველოს მთავრობის 2018 წლის 27 ივლისის N381 დადგენილებით დამტკიცებულ „მომეტებული საფრთხის შემცველი, მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოების“ ჩამონათვალში, ამდენად განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ექსპლოატაციის პროცესში ადამიანების (იგულისხმება როგორც მომსახურე პერსონალი, ასევე მიმდებარე მაცხოვრებლები) ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას.

ადამიანების ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზემოქმედება პირდაპირი სახით მოსალოდნელი არ არის, რადგან ტექნოლოგიური პროცესის დროს არ ხდება ტოქსიკური და სახიფათო ნივთიერებების გამოყოფა-გავრცელება. საწარმოში დასაქმებულებზე უარყოფითი ზემოქმედება მოსალოდნელია შრომის უსაფრთხოების წესების უხეში დარღვევისა და დაწესებული რეგლამენტის გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, როგორცაა დანადგარების არასწორი მართვა, ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოუყენებლობა, აგრეთვე



სხვადასხვა მიზეზის გამო შექმნილი ავარიული სიტუაციები. ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია საწარმოს მომსახურე პერსონალის დაშავება, სახიფათო შედეგებით.

საწარმოში დაცული იქნება შრომის უსაფრთხოების პირობები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საწარმოს თანამშრომლებს პერიოდულად ჩაუტარდებათ ინსტრუქტაჟი შრომის უსაფრთხოების საკითხებზე, მუდმივად გაკონტროლდება დანადგარების ტექნიკური გამართულობა, ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენება. აღნიშნული მინიმუმამდე შეამცირებს ავარიული სიტუაციების და ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე უარყოფითი ზემოქმედების რისკებს.

#### **4.12. ავარიული რისკები**

საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროცესს თან სდევს ავარიების წარმოქმნისა და გავრცელების რისკები, რასაც შესაძლებელია მოყვეს ადამიანების დაშავება და მატერიალური ზარალი.

ობიექტის ექსპლუატაცია დაკავშირებულია მძიმე ტექნიკის გამოყენებასა და სატრანსპორტო გადაზიდვებთან, დიდი მოცულობისა და წონის მასალის (ქვის ლოდი) მიღება-დამუშავებასთან. რისთვისაც გამოყენებულია დიდი დიამეტრის მბრუნავი და მჭრელი მექანიზმები. ამიტომ არსებობს რისკი ტვირთების ჩამოვარდნის, მბრუნავი მექანიზმების დაზიანების, ავტომატების შეჯახების და სხვა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ადამიანების დაშავება.

ქვის დამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციის დროს ავარიების წარმოქმნა ძირითადად დაკავშირებული იქნება უსაფრთხოების წესების უხეშ დარღვევასთან, ტექნოლოგიური დანადგარების ავარიულ დაზიანებასთან.

ტექნოლოგიურ პროცესში გამოყენებული არ არის ფეთქებადი და აალებადი ნივთიერებები, ნედლეული და მიღებული პროდუქცია არ იწვის, ამდენად ხანძრის მიმართ საწარმო ნაკლებსენსიტიურია.

იმის გათვალისწინებით, რომ საწარმოს ყავს შრომის უსაფრთხოების თანამშრომელი, რომელიც უზრუნველყოფს ტექნოლოგიური დანადგარების გამართულობის კონტროლს და შრომის უსაფრთხოების წესების ზედმიწევნით დაცვას, ავარიული სიტუაციების რისკები ძალიან დაბალია.

#### **4.13. კუმულაციური ზემოქმედება**

კუმულაციური ზემოქმედების შეფასების მთავარი მიზანია პროექტის განხორციელებით მოსალოდნელი ზემოქმედების ისეთი სახეების იდენტიფიცირება, რომლებიც როგორც ცალკე აღებული არ იქნება მასშტაბური ხასიათის, მაგრამ სხვა - არსებული, მიმდინარე თუ

პერსპექტიული პროექტების განხორციელებით მოსალოდნელ, მსგავსი სახის ზემოქმედებასთან ერთად საგულისხმო უარყოფითი ან დადებითი შედეგების მომტანია. ამდენად, კუმულაციური ზემოქმედების განხილვა უნდა მოხდეს ჯამური ეფექტის მქონე ემისიების შემთხვევაში.

განსახილველი საწარმო განთავსებულია დახურულ, კაპიტალურ შენობაში. ქვის დამუშავება ხდება სველი წესით, მტვრის გამოყოფის ინტენსივობა იმდენად მცირეა, რომ „საქართველოს მთავრობის 2018 წლის 17 იანვრის N17 დადგენილებით ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის N42 დადგენილებაში შეტანილი ცვლილების თანახმად (4.1 მუხლის „ი“ ქვეპუნქტი), ობიექტები, რომლებშიც ქვის დამუშავება ხორციელდება სველი მთოდით, არ ექვემდებარება ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიშის შემუშავებას“.

განსახილველ საწარმოსთან ჯამური ეფექტის ემისია მოსალოდნელია ყოფილი სატრაქტორო ქარხნის ტერიტორიაზე განთავსებული ბეტონის ნაკეთობათა ორი ობიექტიდან (ნახაზი 2.6. 11 და 13). ორივე ობიექტი განთავსებულია დახურულ, კაპიტალურ შენობაში. აღნიშნულ ობიექტებს სამინისტროსთან შეთანხმებული აქვთ ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიშები. ორივე ობიექტი განსახილველი საწარმოდან დაშორებულია 300 მ და მეტი მანძილით (ნახაზი 4.2). როგორც 4.2. ქვეთავშია განხილული ატმოსფერულ ჰაერში მოსალოდნელია არაორგანული მტვრის ემისია 0,5825 გ/წმ-ის ინტენსივობით. არაორგანული მტვრის გამოყოფის ინტენსივობა იმდენად დაბალია, რომ ატმოსფერულ ჰაერში მტვრის მოსალოდნელი კონცენტრაცია შენობის გარეთ არ გადააჭარბებს ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას. მით უმეტეს მნიშვნელოვან კუმულაციურ ზემოქმედებას ვერ მოახდენს 300 მ-ით დაშორებულ, შენობაში განთავსებულ ბეტონის ნაკეთობათა საწარმოსთან.

საწარმო განთავსებულია დახურულ, კაპიტალურ შენობაში, რომლის ბეტონის კედლების სისქე 20 სმ-ია, როგორც 4.3. ქვეთავშია აღწერილი ბეტონის კედლებს აქვს ბგერათსაიზოლაციო თვისება და საწარმოს ხმაურის გავრცელება შენობის გარეთ მოსალოდნელი არ არის. შესაბამისად კუმულაციური ზემოქმედებაც არ არის მოსალოდნელი.



ნახაზი 4.2.

წყლის რესურსებზე ობიექტის ზემოქმედება შემოიფარგლება მიწისქვეშა ჰორიზონტიდან წყალაღებით. რადგან ყოფილი სატრაქტორო ქარხნის ტერიტორიაზე არსებული ყველა ობიექტი სარგებლობს ქალაქის ცენტრალური წყალსადენის მომსახურეობით, ასევე სავსე კვლევებით დადასტურდა, რომ ამ ტერიტორიაზე არსებულ სამეწარმეო ობიექტებს მიწისქვეშა ჰორიზონტის ჭები არ აქვთ მოწყობილი, მიწისქვეშა ჰორიზონტზე კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

ნარჩენებით გარემოს დაბინძურებაზე კუმულაციური ეფექტი მოსალოდნელია ნარჩენების არასათანადო მართვით.

რაც შეეხება დადებით კუმულაციურ ზემოქმედებას, აღნიშნული მოსალოდნელია სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე.

#### 4.14. ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება

საწარმოს ტიპის, წარმადობის, გარემოს ცალკეულ კომპონენტებზე მოსალოდნელი ზემოქმედების სახეობისა და მასშტაბის, ასევე მისი განთავსების ტერიტორიის გათვალისწინებით, ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

### 5. საწარმოს ექსპლოატაციის პროცესში გარემოს კომპონენტებზე ზემოქმედების ტიპი, მასშტაბი და ხარისხი

საწარმოს ექსპლოატაციის შედეგად, ადამიანის ჯანმრთელობაზე და გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების წინასწარი შეფასებით მიღებული დასკვნები მოცემულია ცხრილში 5.1.

ცხრილი 5.1.

№	გარემოს კომპონენტები	ზემოქმედების ტიპი, მასშტაბი და ხარისხი
1	<b>ბუნებრივი გარემო</b>	
1.1.	ატმოსფერული ჰაერი	უმნიშვნელო უარყოფითი
1.2.	ხმაური	არაა მოსალოდნელი
1.3.	ნიადაგი	არაა მოსალოდნელი
1.4.	ბუნებრივი ლანდშაფტები ფლორა და ფაუნა	არაა მოსალოდნელი
1.5.	წყლის რესურსები	უმნიშვნელო უარყოფითი
1.6.	დაცული ტერიტორიები	არაა მოსალოდნელი
1.7.	ზემოქმედება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე	არაა მოსალოდნელი
1.8.	ნარჩენების წარმოქმნა	უმნიშვნელო უარყოფითი
1.9.	კუმულაციური ზემოქმედება	არაა მოსალოდნელი
1.10	ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება	არაა მოსალოდნელი
2	<b>სოციალურ-ეკონომიკური გარემო</b>	
2.1.	ადამიანების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება	საშუალო უარყოფითი
2.2.	ადამიანების დასაქმება	საშუალო დადებითი
2.3.	ეკონომიკური მდგომარეობა	საშუალო დადებითი

# დაწარმები



# დანართი 1. ამონაწერები საჯარო რეესტრიდან.



შინის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი **N 03.06.03.319.08.501**

## ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია  
**N 882022661868 - 14/09/2022 14:15:08**

მომზადების თარიღი  
**14/09/2022 17:49:59**

### საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი	კოდი	ნაკვეთის საკუთრების ტიპი: თანასაკუთრება
ქუთაისი	კახიანოური				ნაკვეთის ფუნქცია: არასახლოფლო სამეურნეო
<b>03</b>	<b>06</b>	<b>03</b>	<b>319</b>	<b>08/501</b>	დამუსტრებული ფართობი: <b>63358.00</b> კვ.მ.

ნაკვეთის წინა ნომერი: **03.06.03.307**;  
შენიშვნა-ნაგებობები: **შენიშვნა-ნაგებობები N1, N2, N3, N4, N5, N6, N7, N8, N9, N10**

მისამართი: ქალაქი ქუთაისი, გამზირი ახალგამრდობა, N 19, (ნაკვ. 3/319), (N1-1-3-6-2-2)

### მესაკუთრები

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი **882022661868** , თარიღი **14/09/2022 14:15:08**  
უფლების რეგისტრაცია: თარიღი **14/09/2022**

#### უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- შპს "ნითე" -ს (ს.კ. 412724850) დამფუძნებელი პარტნიორების კრების ოქმი N01/2021 , დამონშების თარიღი:16/06/2021 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- უძრავი ქონების ნაცვადობის ხელშეკრულება , დამონშების თარიღი:22/07/2019 ,სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

#### მესაკუთრები:

შპს „ქუთაისის ქვის ქარხანა“ , ID ნომერი:412724850

მესაკუთრე:	საკუთრების ტიპი:	საკუთრება:	ფართი:	ნილი:
შპს „ქუთაისის ქვის ქარხანა“	საკუთრება	ფართი	4635.39 კვ.მ.	

### იპოთეკა

1) განცხადების რეგისტრაცია ნომერი **882021840696** თარიღი **30/09/2021 14:58:41** იპოთეკარი: სააქციო საზოგადოება "ტერაბანკი" 204546045; საგანი:ფართი 4635.39 კვ.მ. ; იპოთეკის ხელშეკრულება **NTB.0638478.001/01**, დამონშების თარიღი**30/09/2021**, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

უფლების რეგისტრაცია: თარიღი **06/10/2021**  
საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

### ვალდებულება

ყადალა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეობა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფინიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას სამომსავლო გადასახადი გადახდას ქვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფინიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე [www.napr.gov.ge](http://www.napr.gov.ge);

- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე [www.napr.gov.ge](http://www.napr.gov.ge), ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 2 405405
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: [info@napr.gov.ge](mailto:info@napr.gov.ge)



### ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია  
N 882022661852 - 14/09/2022 14:10:07

მომზადების თარიღი  
14/09/2022 19:40:39

### საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი	ნაკვეთის საკუთრების ტიპი:საკუთრება
ქუთაისი	კახიანიური			ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო დაზუსტებული ფართობი: 7095.00 კვ.მ.
<b>03</b>	<b>06</b>	<b>03</b>	<b>457</b>	ნაკვეთის წინა ნომერი:03.06.03.397;

მისამართი: ქალაქი ქუთაისი , გამზირი აბაღაბრდობა , N 19

### მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882022661852 , თარიღი 14/09/2022 14:10:07  
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 14/09/2022

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 30.06.2010 წლის განჩინება სს "საქტრაქტორის" გაკოტრების მმართველის დავით უციქაის საბოლოო ანგარიშის (მოხსენების) შემოწმების და გაკოტრების საქმის წარმოების დამთავრების შესახებ
- მომართვა N1 3 / 1 4 9 5 3 , დამოწმების თარიღი:17/03/2022 ,სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო
- განკარგულება NA16096025-016/001 , დამოწმების თარიღი:01/03/2017 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიურო

მესაკუთრები:

შპს „ქუთაისის ქვის ქარხანა“, ID ნომერი:412724850

მესაკუთრე:

შპს „ქუთაისის ქვის ქარხანა“

აღწერა:

### იპოთეკა

1) განცხადების რეგისტრაცია ნომერი 88202245576 თარიღი 11/04/2022 17:53:57	იპოთეკარა: სააქციო საზოგადოება "გერაბანკი"204546045; საგანი:დაზუსტებული ფართობი: 7095.00 კვ.მ. ; იპოთეკის ხელშეკრულება NTB.0638478.001/08, დამოწმების თარიღი11/04/2022, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
--	--

უფლების რეგისტრაცია: თარიღი 15/04/2022

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

---

## სარგებლობა

განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882022182545 თარიღი 18/03/2022 11:18:03

საგანი: 1349 კვ.მ ღიაგეომეტრიის სერვიტუტით 03.06.03.458; 03.06.03.459; 03.06.03.460; 03.06.03.461 ს/კ-ების სასარგებლოდ

განცხადება, დამოწმების თარიღი 01/04/2021,

უფლების რეგისტრაცია: თარიღი 07/04/2022

---

## ვაღიანებულება

ყაღაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეგისტრირება:

რეგისტრირებული არ არის

---

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციის, ბერძენე საგადასახადო წესის განმარტებით 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების ხარკებზე მიღების სამქონისივლი გავლისათვის გადახდას ექვემდებარება საინვესტიციო წესის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვადებულების შექმნელობა წარმოადგენს საგადასახადო სამართლებრივ დანაშაულს, რაც იწვევს პასუხისმგებლობის საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მხედვით."

- დეკლარაციის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე [www.napr.gov.ge](http://www.napr.gov.ge);
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე [www.napr.gov.ge](http://www.napr.gov.ge), ნებისმიერ გერიატორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლში და სააგენტოს აცხადებულ პარტიის;
- ამონაწერში გველი, კარი ხარჯების აღმოსაჩენს შემთხვევაში დავა კავშირით: 2 405405 ან პირდაპირ შეგიყიო განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კომპლუტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეგისტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დავა კავშირით ცხელ ხაზზე: 2 405405
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგეწერეთ ელ-ფოსტა: [info@napr.gov.ge](mailto:info@napr.gov.ge)

## დანართი 2. ამონაწერები სამეწარმეო რეესტრიდან.



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო  
სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

### ამონაწერი მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B22108869, 01/09/2022 11:28:25

#### სუბიექტი

საფირმო სახელწოდება:	შპს ქუთაისის ქვის ქარხანა
სამართლებრივი ფორმა:	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო ნომერი:	412724850
რეგისტრაციის ნომერი, თარიღი:	23/02/2017
მარეგისტრირებული ორგანო:	სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
იურიდიული მისამართი:	საქართველო, ქ. ქუთაისი, ახალგაზრდობის გამზირი, N19, (ნაკვ. 3/319), (N1-1-3-6-2-2)

#### ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუნარობის პროცესის მიმდინარეობის შესახებ

რეგისტრირებული არ არის

#### მმართველობის ორგანო

- საერთო კრება
- დირექტორი

#### ხელმძღვანელობა/ნარმომადგენლობა

- დირექტორი - ველიკ კვებვაძე, 53001006705

#### კაპიტალი

ნებადართული კაპიტალი	არ არის განსაზღვრული
განთავსებული კაპიტალი	არ არის განსაზღვრული
გამოშვებული წილი	არ არის განსაზღვრული
განთავსებული წილი	100 ერთეული



### პარტნიორები

კლასის ტიპი: /კლასის გარეშე/, რაოდენობა:100, ნომინალური ღირებულება:არ არის განსაზღვრული

მესაკუთრე	რაოდენობა	წილი	წილის მმართველი
გიორგი ბრეგაძე, 60003007698	49	49%	
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება შპს ლევ-ველ, 421279208	51	51%	

### ვალდებულება

რეგისტრირებული არ არის

#### ყადალა/აკრძალვა

რეგისტრირებული არ არის

#### საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება

რეგისტრირებული არ არის

#### მოდრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება

რეგისტრირებული არ არის

#### მოვალეთა რეესტრი

რეგისტრირებული არ არის

- დოკუმენტის ნაშედილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე [www.napr.gov.ge](http://www.napr.gov.ge);
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე [www.napr.gov.ge](http://www.napr.gov.ge) , ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405 405 ან პირადად შევსეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405 405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 2 405 405
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: [info@napr.gov.ge](mailto:info@napr.gov.ge)



**ამონაწერი მენარმეთა და არასამენარმეთა  
(არაკომერციული) იურიდიული პირების  
რეესტრიდან**

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B22021915, 07/03/2022 10:17:02

**სუბიექტი**

<b>საფირმო სახელწოდება:</b>	შპს ნითე
<b>სამართლებრივი ფორმა:</b>	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
<b>საიდენტიფიკაციო ნომერი:</b>	412724850
<b>რეგისტრაციის ნომერი, თარიღი:</b>	23/02/2017
<b>მარეგისტრირებული ორგანო:</b>	სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
<b>იურიდიული მისამართი:</b>	საქართველო, ქ. ქუთაისი, ახალგაზრდობის გამზირი, N19, (ნავ. 3/319), (N1-1-3-6-2-2)

**ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუნარობის პროცესის  
მიმდინარეობის შესახებ**

რეგისტრირებული არ არის

**ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა**

- დირექტორი - ველიკ ვებევაძე, 53001006705

**კაპიტალი**

**პარტნიორები**

<b>მესაკუთრე</b>	<b>წილი</b>	<b>წილის მმართველი</b>
გიორგი ბრეგაძე, 60003007698		49%
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ლევ-ველ, 421279208		51%

---

## ვალდებულება

რეგისტრირებული არ არის

---

### ყადალა/აკრძალვა

რეგისტრირებული არ არის

### საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება

რეგისტრირებული არ არის

### მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება

რეგისტრირებული არ არის

### მოვალეობა რეესტრი

რეგისტრირებული არ არის

---

2022 წლის პირველ იანვრამდე რეგისტრირებული სუბიექტი ვალდებულია 2022 წლის 1 იანვრიდან 2 წლის განმავლობაში უზრუნველყოს სარეგისტრაციო მონაცემების 04.08.2021 წ. „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონთან შესაბამისობაში მოყვანა. კანონით გათვალისწინებულ ვადაში ამ ვალდებულების შესრულებლობის შემთხვევაში სუბიექტის რეგისტრაცია გააქმბულად მიიჩნევა.

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე [www.napr.gov.ge](http://www.napr.gov.ge);
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე [www.napr.gov.ge](http://www.napr.gov.ge) , ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტომატიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შევსეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: [info@napr.gov.ge](mailto:info@napr.gov.ge)

### დანართი 3. მერიის წერილი



ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია  
სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო  
ნებართვების სამსახური  
KUTAISI CITY MUNICIPALITY  
SPATIAL PLANNING, MONUMENT PROTECTION AND CONSTRUCTION  
PERMITS OFFICE



წერილის ნომერი: 10-442225782  
თარიღი: 14/09/2022

ადრესატი: შპს ნითე  
საიდენტიფიკაციო ნომერი: 412724850  
მისამართი: საქართველო, ქ. ქუთაისი, ახალგაზრდობის  
გამზირი, N19, (ნაკვ. 3/319), (N1-1-3-6-2-2)

შპს "ნითეს" დირექტორს  
ბატონ ველიკ კეზევაძეს

ბატონო ველიკ,

თქვენს 2022 წლის 18 აგვისტოს №10/4422230163-44 წერილის პასუხად, რომლითაც ითხოვთ 03.06.03.319.08.501 და 03.06.03.457 საკადასტრო კოდებზე რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე განაშენიანების პირობების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას გაცნობებთ, რომ ამჟამად მიმდინარეობს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენერალური გეგმის დამუშავების პროცესი და აღნიშნული ტერიტორია მოიაზრება, როგორც სამშენებლო ზონა - ინდუსტრიული ზონა(იზ); სამშენებლო ქვეზონა - საწარმოო ზონა (იზ-1), რომლის ქალაქგეგმარებითი პარამეტრებია:

- კ1 - საჭიროების მიხედვით, ტექნოლოგიური პროცესიდან გამომდინარე;
- კ2 - საჭიროების მიხედვით, ტექნოლოგიური პროცესიდან გამომდინარე;
- კ3 - 0,2.

პატივისცემით,

რუსუდან ჩინალაძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის სივრცის  
დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო  
ნებართვების სამსახური-პირველადი სტრუქტურული  
ერთეულის ხელმძღვანელი

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი



## დანართი 4. ლიცენზიის ბრძანება



საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
**მინერალური რესურსების ეროვნული  
სააგენტო**



KA020120623687222

თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ: 0 32 2 95 00 30

### ლიცენზია - ბრძანება № 6

31 / აგვისტო / 2022 წ.

#### **შპს „ნითე“-ზე (ს/ნ 412724850) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის პირდაპირი წესით გაცემის შესახებ**

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის და საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებით დამტკიცებული - სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების 3<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის, შპს „ნითე“-ს 2022 წლის პირველი ივლისის (ID\_57381) და 2022 წლის 18 აგვისტოს (სააგენტოში რეგისტრირებული №8062) განცხადებებისა (ლიცენზიისთვის გადახდილი ფასი 378.20 ლარი) და სსიპ - მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს მიერ მომზადებული გეოსაინფორმაციო პაკეტის საფუძველზე.

#### **გ ბ რ ძ ა ნ ე ბ :**

1. გაიცეს პირდაპირი წესით შპს „ნითე“-ზე (ს/ნ 412724850) ქალაქ ქუთაისის ტერიტორიაზე, ახალგაზრდობის გამზირი №19-ში, მიწისქვეშა მტკნარი წყლის (სამეწარმეო დანიშნულებით) მოპოვების მიზნით სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია 25 წლის ვადით შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

**ა)** დაუწესდეს მიწისა და სამთო მინაკუთვნი (ფართობი 0.07 ჰა.) დანართით განსაზღვრული X და Y კოორდინატების (ჭაბურღილი) გარშემო 15 მეტრიანი რადიუსის წრეხაზის შიგნით, რომელიც წარმოადგენს სანიტარული დაცვის მკაცრი რეჟიმის ზონას;

**ბ)** მიწისქვეშა მტკნარი წყლის (P კატეგორია) მოცულობა ლიცენზიის მოქმედების პერიოდში განისაზღვროს წელიწადში 5 000 მ<sup>3</sup>-ის ოდენობით;

**გ)** ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;

**დ)** მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;

**ე)** აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ლიცენზიის გამცემს;

**ვ)** აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების ალბის საშუალება;



**ბ)** გარდა ამ ლიცენზია-ბრძანების „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ლუქის ახსნა-დადება და შესაბამისი აქტის შედგენა. ამასთან, ლუქის ახსნა-დადება უნდა განხორციელდეს ლუქის მიღება-ჩაბარების შესახებ აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში, ხოლო ლუქის ახსნის/დადების პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია უნდა წარედგინოს ლიცენზიის გამცემს მისი განხორციელებიდან არაუგვიანეს 5 დღისა. დოკუმენტაცია მოიცავს ფოტო მასალას ჭაბურღილის X და Y კოორდინატების მითითებით, ფოტოზე ასევე დატანილი უნდა იყოს მოქმედების განხორციელების თარიღი;

**თ)** მიწისქვეშა მტკნარი წყლის ძირითად ნედლეულად გამოყენების შემთხვევაში, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ლუქის ახსნა-დადებისა და შესაბამისი აქტის შედგენის უზრუნველყოფის მიზნით, მიმართოს ლიცენზიის გამცემს;

**ი)** ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭაბურღილის თავმორთულობის მონესრიგება და მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება;

**კ)** ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ყოველწლიურად 1 აპრილიდან 1 მაისამდე ლიცენზიის გამცემ ორგანოში წარადგინოს წერილობითი ანგარიშგება სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ;

**ლ)** ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ამ ლიცენზია-ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემ ორგანოში დასამტკიცებლად წარადგინოს სასარგებლო ნიალისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით);


**მ)** ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ლიცენზიის გამცემს ყოველკვარტალურად (არაუგვიანეს კვარტლის ბოლო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა) წარედგინოს ინფორმაცია გამოყენებული სამეწარმეო წყლის იმ ოდენობის შესახებ, რომელსაც გამოიყენებს პროდუქციის ძირითად ნედლეულად (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

**ნ)** ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ“, „ნიალის შესახებ“, „წყლის შესახებ“ და „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონებით, შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით და სსიპ - მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს სასარგებლო ნიალისეულის მართვის დეპარტამენტის № 1730, 31.08.2022 წ. (ID\_54493) სამსახურებრივი ბარათით წარმოდგენილი გეოსაინფორმაციო პაკეტის საფუძველზე დადგენილი სხვა პირობები.

2. ლიცენზია-ბრძანება გასაცნობად გადაეცეს დაინტერესებულ პირს.

3. ლიცენზია-ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (ქ. თბილისი, სანაპიროს ქუჩა №2).

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს უფროსი

ხელმოწერილია/  
შტამბდასმულია  
ელემენტრულად 

ანდრო ასლანიშვილი